საქართველოს სახალხო დაცველი

ბრძანება

N97/3

4 თებერვალი, 2019 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტის, "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 58-ე მუხლის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9, მე-13, მე-16, 23-ე, 26-ე და 27-ე მუხლების, ,,საჯარო სამსახურში ნახევარ განაკვეთზე მუშაობის, ღამის საათებში, დასვენებისა და უქმე დღეებში, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N201 დადგენილების მე-13 და მე-16 მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 15 იანვრის ბრძანება N16.
2. დამტკიცდეს „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი" თანდართული სახით (დანართი N1).
3. დამტკიცდეს ,,საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულ პირთათვის გაცემული სახელფასო დანამატის აღრიცხვის ფორმა" N2 დანართის სახით.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ, N6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველო, თბილისი 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი #150, ტელ.: (+995 32) 2234499;
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

<u>დანართი N1</u>

დამტკიცებულია

საქართველოს სახალხო დამცველის

2019 წლის 4 თებერვლის N97/ვ ბრძანებით

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესი

მუხლი 1. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესის განსაზღვრის მიზანი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში (შემდგომში – აპარატი) **ზეგანაკვეთური სამუშაოს,** ან/და **დამატებითი ფუნქციების** შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების წესის (შემდგომში – წესი) განსაზღვრის მიზანია აპარატში დასაქმებული პირისათვის ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ან/და **დამატებითი ფუნქციების** შესრულებისათვის მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოსათვის ანაზღაურების წესის დადგენა.

მუხლი 2. რეგულირების სფერო

1. ეს წესი ადგენს შრომის ანაზღაურების წესს **ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის** ან/და **დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის**, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს ან ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში შესრულებული სამუშაოსათვის და **დროებითი ფუნქციის შესრულებისათვის** აპარატში დასაქმებული შემდეგი პირებისათვის:

ა) აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრულ ერთეულებზე დასაქმებულებისათვის;

ბ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის.

2. ეს წესი არ ვრცელდება აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ იმ პირებზე, რომელთა შრომის ანაზღაურება ფინანსდება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიღებული მიზნობრივი გრანტის ფარგლებში.

მუხლი 3. სახელფასო დანამატი

1. ამ წესით გათვალისწინებულ პირებს სახელფასო დანამატი ეძლევათ:

ა) ზემდგომი ხელმძღვანელი პირის წერილობითი/სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა საშუალების გამოყენებით დავალების საფუძველზე, შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის;

ბ) დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო.

გ) დროებით არმყოფი პირის ფუნქციების შესრულებისათვის წინამდებარე წესის მე-5 მუხლით დადგენილ შემთხვევებში.

2. დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის სახელფასო დანამატი ეძლევათ:

ა) მოხელის/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიერ ისეთი სამუშაოს შესრულებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია აპარატის სხვა მოხელის/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამუშაო აღწერილობით/შრომის ხელშეკრულებით;

ბ) დამატებითი ფუნქციის დაკისრება გამომდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან (საჯარო ინფორმაციის გაცემა, პერსონალური მონაცემების გაცემა, საიდუმლო საქმისწარმოება და სხვა) ან/და აპარატის საჭიროებებიდან.

3. საქართველოს სახალხო დამცველის პირველ მოადგილეს და სახალხო დამცველის მოადგილეს სახელფასო დანამატი ეძლევა **საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებით,** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. სახელფასო დანამატი გაიცემა ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქართველოს სახალხო დამცველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და აპარატის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

მუხლი 4. სახელფასო დანამატის ოდენობა ზეგანაკვეთური ან/და დამატებითი ფუნქციის შესრულებისთვის

1. ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის სახელფასო დანამატის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველი **დასაქმებული პირის ხელმძღვანელის რეკომენდაციის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხანგრძლივობის, შესრულების ხარისხის, სირთულის ან/და მნიშვნელობის გათვალისწინებით,** „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და აპარატის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

2. დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო სახელფასო დანამატის ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველი **დასაქმებული პირის ხელმძღვანელის რეკომენდაციის, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხანგრძლივობის, შესრულების ხარისხის, სირთულის ან/და მნიშვნელობის გათვალისწინებით,** „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და აპარატის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

3. საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილისა და მოადგილისათვის სახელფასო დანამატის ოდენობას ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო, **განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველი** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ოდენობის და აპარატის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

მუხლი 5. სახელფასო დანამატი დროებითი ფუნქციების შესრულებისათვის

1. აპარატში დასაქმებულ პირს, რომელიც იმავე სტრუქტურულ ერთეულში ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს და თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ეძლევა არმყოფი პირის თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს. თუ თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის თანამდებობრივი სარგო მისი შემცვლელი პირის თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, შემცვლელ პირს უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო.

2. აპარატში დასაქმებულ პირს, რომელიც სხვა სტრუქტურულ ერთეულში ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს და თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან, ეძლევა არმყოფი პირის თანამდებობრივი სარგო, თუ იგი აღემატება მის თანამდებობრივ სარგოს. თუ თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის

თანამდებობრივი სარგო მისი შემცვლელი პირის თანამდებობრივ სარგოზე ნაკლებია, შემცვლელ პირს უნარჩუნდება თავისი თანამდებობრივი სარგო.

3. აპარატში დასაქმებულ პირს, რომელიც სხვა სტრუქტურულ ერთეულში ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს და არ თავისუფლდება თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ეძლევა დანამატი თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ხელფასის 100%-ის ოდენობით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და აპარატის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

4. აპარატში დასაქმებულ პირს, რომელიც ასრულებს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციებს იმავე სტრუქტურულ ერთეულში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე, თავისი თანამდებობრივი სარგოს გარდა, ეძლევა სახელფასო დანამატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში. სახელფასო დანამატის ოდენობა გამოითვლება შემდეგი წესის დაცვით:

ა) გამოანგარიშება დროებით არმყოფი პირის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 1 სამუშაო დღეზე ამ პოზიციისათვის დადგენილი სრული თანამდებობრივი სარგოს ოდენობის 22 სამუშაო დღეზე გაყოფით;

ბ) გამოანგარიშება აპარატში დასაქმებული იმ პირის თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 1 სამუშაო დღეზე, რომელმაც უნდა შეასრულოს დროებით არმყოფი პირის ფუნქციები თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე, ამ პოზიციისათვის დადგენილი სრული თანამდებობრივი სარგოს ოდენობის 22 სამუშაო დღეზე გაყოფით;

გ) დგინდება სხვაობა ამ პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად გამოანგარიშებულ თანხებს შორის;

დ) ამ პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით მიღებული თანხა მრავლდება სამუშაო დღეების იმ რაოდენობაზე, რომელთა მანძილზეც აპარატში დასაქმებულმა პირმა, უნდა შეასრულოს თანამდებობაზე დროებით არმყოფი პირის ფუნქციები თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე;

ე) ამ პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებული რიცხვი/თანხა შესაძლებელია დამრგვალდეს მეტობით ან ნაკლებობით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესი არ ვრცელდება აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილეზე, რომელიც ამავე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არყოფნის გამო, დროებით ასრულებს მის ფუნქციებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე და აღნიშნული ფუნქცია გათვალისწინებულია ხელმძღვანელის მოადგილის სამუშაო აღწერილობით.

6. აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილეს, რომელიც ამავე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არყოფნის გამო, დროებით ასრულებს მის ფუნქციებს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან გათავისუფლების გარეშე და

აღნიშნული ფუნქცია გათვალისწინებული არ არის ხელმძღვანელის მოადგილის სამუშაო აღწერილობით, სახელფასო დანამატი 1 სამუშაო დღეზე მიეცემა 40 (ორმოცი) ლარის ოდენობით დამატებითი ფუნქციების შესრულების დაკისრების პროპორციულად.

მუხლი 6. სახელფასო დანამატის საერთო ოდენობის აღრიცხვა

საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის, აპარატში დასაქმებული პირ(ებ)ისათვის სახელფასო დანამატის ერთდროული ოდენობისა და წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატის ოდენობის აღრიცხვა-სისტემატიზაციის ახორციელებს აპარატის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ სტრუქტურული ერთეული და შესაბამის მონაცემებს ასახავს საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 4 თებერვლის N97/კ ბრძანებით დამტკიცებული N2 დანართით გათვალისწინებულ ფორმაში.

მუხლი 7. წესში ცვლილების შეტანის წესი

ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით.